შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

ხარისხის მენეჯერის

2020 წლის ანგარიში

გორი

2020 წელი

ხარისხის მენეჯერის ანგარიში

1.შესავალი

ხარისხის მენეჯერი ვალდებულებას წარმოადგენს ყოველწლიური ანგარიში დირექტორის სახელზე . ხარისხის მენეჯერი პასუხისმგებელია კოლეჯში სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხზე და საგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივ დინამიურ განვითარებაზე; ხარისხის მენეჯერი იყენება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს: შეფასება/გადახედვა გაუმჯობესება/დაგეგმვა/განხორციელება ის უწყვეტ ციკლს.

2. განხორციელებული ღონისძიებები

- 2020 წელს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მიერ განხოეციელდა 2020 წელს პროფესიული სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა. შემუსავებული გეგმის თანახმად. განხორციელდა და შესაბამისობაში მოვიდა კოლეჯის ნორმატიული დოკუმენტაცია . განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გაეგზავნა 2020 წლის შპს საზოგადოებრვი კოლეჯი ამაგის თვითშეფასების ანგარიში .

- 2019 წ სამოქმედო ანგარიშისა და კვლევის თანახმად გამოკვეთილი მოთხოვნა ზღვრული ოდენობის გაზრის საფუძველზე განხორციელდა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სანჭოს გადაწყვეტილებით 13.06.20 შპს - კოლეჯ „ამაგს“ „ფარმაცია (სააფთიაქოს)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვრა 80-ით და საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვრა 84-ით.

- ახალი COVID 19 ის პანდემიამ გარკვეულწილად გადაავადა სასწავლო პროცესი. შეიცვალა სასწავლო კალენდარული გეგმები, ამიტომ 2019 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის დასრულების ვადამ გადაიწია ოთხი თვით.

- ჩემს მიერ ინტენსიურად ხორციელდებოდა შეხვედრები ონლაინ სასწავლო პროცესის დანერგვისა და განვითარების კუთხით. საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით განათლების ხარისხის გაანვიტარების კოორდინაციითა და სკკ ასოციაციასთან ერთად შედგა.

- 2020 წელს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი ჩაერთო სახელმწიფოს მიერ დაფინანსების პროგრამაში. საექთნო განათლება და ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ ტესტირების გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები.
- 2020 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგმამების მდგრადობის მიზნით კოლეჯმა მოიზიდა კვალიფიციური კადრი
- კოლეჯი აფართოვებს პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთ თანამშრომლობის ურთიერთობებს. გაფორმდა ხელშეკრულება წამყვან ფარმაცევტულ სააფღიაქო ქსელთან სს გეფასთან სამომავლოდ ფარმაცია(სააფთიაქო) პროფესიული პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვი პრაქტიკული კურსის განხორციელების მიზნით

3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -პრაქტიკოსი ექთანი

პროფესიულ სტუდენთა და პროფესიულ მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგად ასევე პროგრამის ხელმძრვანელთან კოორდინაციით მოგახსენებთ რომ,პრაქტიკოსი ექთნის მოდულებში არსებული შეფასების კრიტერიუმები უმრავლეს შემთხვევაში ფორმულილებულია გაურკვევლად და აჩენს დამატებით კითხვებს . მოდულების შეფასებისას შესასწავლი მასალა

ხშირ შემთხვევაში მეორდება სხვადასხვა მოდულებში რაც უკვე ნასწავლია ხელმეორედ აქვს დათმობილი საკონტაქტო დრო. გვიწევს პერიოდული კონსულტაცია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან აღნიშულ საკითხებთან დაკავშირებით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერინარია

ახალი COVID 19 ის პანდემიამ გადაავადა სასწავლო პროცესი, შეიცვალა სასწავლო კალენდარული გეგმები რამაც 2019 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის დასრუეების ვადმ გადაიწია. ამან შექმნა ბარიერი 2021 წელს ვაკანტურ ადგილების გამოცხადებასათან დაკავშირები. პროგრამის ხელმძღვანელის თაოსნობით განხორციელდა და გაიმიჯნა პროგამაში მოდულების სწავლების მიდგომები ონლაინ რეჟიმის დროს. პერიოდულად ხორციელდება პროგამის მონიტორინგი და გამოწვევებიდან გამომდინარე ღონისზიებების მიღება.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო).

ფარმაცია(სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზღვრული ოდენობის გაზრდის მიზნით, საჭირო გახდა მოდულის განმახორციელებელი პირების გაძლიერებისა და პროგრამის მდგრადობის კუთხით მოგვეწვია დარგის სპეციალისტყერბი. პროფესიულ სწავლების ხარისხის ამაღლებს მიზნით ხორციელდებოდა ჩემს მიერ მასწავლებლებისათვი კონსულტაციები, პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ხორციელდებოდა შეხვედრები დარგის მიმარლებით , როგორც ჯგუფურად ასევე ინდივიდიალურად. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით შედგა დარგობრივი ჯგუფები სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროგესიულმა მასწავლებლებმა. დადგინდა პროფესიული საგანმანათლებო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) მოდულების სწავლის შედეგების ონლაინ სწავლების შესაძლებლობა. განხორციელდა მონიტორინგი და მოხდა სწავლის კრიტერიუმების შესწორება-დაზუსტება. შემუშავდა შეფასების ინსტრუმენტის ბანკი.

4.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო განათლების სასწავლო გეგმა შეიცვალა და მოერგო სასწავლო მარეგულირებელი დებულებით გათვალისწინებულ განმერორებითი შეფასების ვადებს. ასევე გაფართოვდა პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების სია. კერძოდ მემორანდუმი და ხელშეკრულებე დაიდო შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან და თბილისის ფსიქიატრიულ კლინიკასთან. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით და განათლების ხარისხის განვიტარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით შედგა დარგობრივი ჯგუფები სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროგესიულმა მასწავლებლებმა . დადგინდა პროფესიული საგანმანათლებო პროგრამა საექთნო განათლების მოდულების სწავლის შედეგების ონლაინ სწავლების შესაძლებლობა. განხორციელდა მონიტორინგი და მოხდა სწავლის კრიტერიუმების შესწორება-დაზუსტება. შემუშავდა შეფასების ინსტრუმენტის ბანკი.

ხარისხის მენეჯერის 2021 წლის პრიორიტეტები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა
- პროფესიული პროგრამის ვეტერინარიის ზღრული ოდენობის დადგენა
- ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწა-განვითარება

გასაუმჯობესებელი მხარე:

- ✓ პროფესიული განათლების გადამზადებზე ზრუნვა კომპიუტერულ ტექნოლოგიების მიმართულებით
- ✓ გაკვეთილების ხარისხის ხშირი მონიტორინგი;
- ✓ პროფესიულ სტუდენთა საჭიროებების დადგენა (ინდივიდუალური მიდგომები)